

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომა**

2 მარტი 2009 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. №75

სხდომის დაწყების დრო: 18:00სთ.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:
გოჩა სვანიძე (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), დავით
ასათიანი, როინ მიგრიაული, დავით ლანჩავა, ზვიად კორძაძე.

სხდომის თავმჯდომარე: გოჩა სვანიძე

დღის წესრიგი:

1. ადვოკატთა ტესტირების ორგანიზაციული საკითხების შესახებ;
2. მოსამართლეობის სერტიფიკატის (ვიწრო სპეციალიზაცია) მქონე პირთა სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ;
3. ადვოკატთა ტესტირების საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა განსაზღვრის შესახებ ;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით

სხდომამ მოისმინა:

ადვოკატთა ტესტირების ჩატარების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ როდიდან დაიწყება საბუთების მიღება, რამდენი დღე გაგრძელდება ადვოკატთა ტესტირება, ასევე განისაზღვრა ტესტირების ჩატარების ოპტიმალური თარიღიც.

აღმასრულებელმა საბჭომ გადაწყვიტა:

ადვოკატთა ტესტირებაში მონაწილეობის მსურველთა საბუთები მიიღება 23 მარტიდან 15 აპრილის ჩათვლით. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საბუთები არ მიიღება. აღნიშნული ვადა შეიძლება შეიცვალოს

ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით. გადავადების მაქსიმალური ვადაა 25 აპრილი. რეგისტრაციის შემდეგ სპეციალიზაციის შეცვლა დაუშვებელია.

ადვოკატთა ტესტირების ჩატარება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დარბაზში 2009 წლის 26, 27, 28 ივნისს სპეციალიზაციების მიხედვით.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით

სხდომამ მოისმინა:

არსებული პრობლემის შესახებ, რომელიც ეხება მოსამართლეობის სერტიფიკატის მქონე პირებს. კერძოდ, აქვს თუ არა უფლება ვიწრო სპეციალიზაციით მოსამართლეობის გამოცდაჩაბარებულ პირს გაწვევიანდეს ადვოკატთა ასოციაციაში და მოითხოვოს ადვოკატის მოწმობა საერთო სპეციალიზაციით.

აღმასრულებელმა საბჭომ გადაწყვიტა:

მოსამართლეობის სერტიფიკატის მქონე პირები ადვოკატის სტატუსს მიიღებენ იმ სპეციალიზაციით, რა სპეციალიზაციითაც მათ მიღებული აქვთ მოსამართლის სერტიფიკატი.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით

სხდომამ მოისმინა:

საკვალიფიკაციო კომისიის კანდიდატთა შესახებ ინფორმაცია, დასახელდა სავარაუდო კანდიდატთა ვინაობაც: როინ მიგრიაული (თავმჯდომარე); ავთანდილ დემეტრაშვილი (კონსტიტუციური სამართალი); ირაკლი დვალიძე (სისხლის სამართალი, მატერიალური); გიორგი თუმანიშვილი (სისხლის სამართალი, პროცესი) შალვა ქურდაძე (სამოქალაქო სამართალი, პროცესი); ირაკლი ყანდაშვილი (სამოქალაქო სამართალი, მატერიალური); მაკა სალხინაშვილი (ადმინისტრაციული

სამართალი, ადმინისტრაციული სამართლის პროცესი); ნინო
ბოჭორიშვილი (საერთაშორისო სამართალი).

ადმასრულებელმა საბჭომ გადაწყვიტა:

ადმასრულებელი საბჭოს წევრი როინ მიგრიაული არჩეულ იქნა
საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარედ. მას დაევალა
საკვალიფიკაციო კომისიის წევრობის კანდიდატების შერჩევა.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად

გადაწყვეტილების მიღებისას ადმასრულებელი საბჭოს სხდომას
ესწრებოდნენ და ხელს აწერენ:

გონა სვანიძე

დავით ლანჩავა

დავით ასათიანი

ზვიად კორძაძე

როინ მიგრიაული